



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება-024/12

1. ფაქტები

ადვოკატი ა.პ. იცავდა გ.გ.ს შვილის ამირან გონაშვილის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ეს უკანასკნელი მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ადვოკატმა ა.პ.-მ 2011 წლის 11 აგვისტოს განცხადებით მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის მიზნით. ადვოკატმა ა.პ.მა არ მიაწოდა ბრალდების მხარესა და სასამართლოს ინფორმაცია ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე წინასასამართლოს სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, რის გამოც სასამართლომ არ მიიღო ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. ადვოკატმა ა.პ.-მ 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე არ წარადგინა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა ექსპერტიზის დასკვნა ჩაიბარა 29 აგვისტოს. ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს რომ სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნებოდა გადაეხადა ჯარიმა.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ.გ.მ და მოითხოვა ადვოკატ ა.პ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება აღედრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ა.პ.ს მიმართ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების და კლიენტის პატიოსნად და უშიშრად დაცვის ვალდებულების შესაძლო დარღვევის თაობაზე (ადვოკატთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, მე-6 ნაწილი და მე-14 ნაწილი).

3. სამართლებრივი ანალიზი

ჩაითვლება თუ არა ადვოკატის მიერ მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში და მტკიცებულებების წარუდგენლობა არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად? „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თაობაზე მხოლოდ განცხადების წარდგენა ექსპერტიზის ბიუროში. ადვოკატმა უნდა განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები, რათა ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით წარადგინოს სასამართლოში და დაურთოს საქმეს. ვინაიდან ადვოკატმა დაარღვია რიგი საპროცესო ნორმები, კერძოდ არ მიაწოდა ინფორმაცია მტკიცებულების შესახებ სასამართლოს დადგენილ ვადაში და ამასთან არ წარადგინდა აღნიშნული მტკიცებულება სასამართლო სხდომაზე, შესაბამისად მან დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები. ადვოკატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევა ჩაითვლება



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

არაკვალიფიციურ და არაკათილისნდისიერ წარმომადგენლობად, რადგან ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება.

ჩაითვლება თუ არა ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის მის უფლებებსა და შესაძლო შედეგებზე ინფორმაციის მიუწოდებლობა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევად?

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მიმდობილი საქმის მსვლელობის და საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“

ადვოკატმა კლიენტს არ განუმარტა კლიენტს, რომ სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების დაგვიანებით წარდგენისას მოუწევდა ჯარიმის გადახდა და ამასთან იყო შესაძლებლობა სასამართლოს არ მიეღო მტკიცებულება თუ მისი წარდგენა პირველ ინსტანციის სასამართლოში ობიექტურად შესაძლებელი გახლდათ. ეთიკის კომისა განმარტავს, რომ ადვოკატმა წარმომადგენლობის გახორციელების პროცესში უნდა მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის მის უფლებებსა და შესაძლო შედეგებზე ინფორმაციის მიუწოდებლობა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევად ჩაითვლება, ვინაიდან ეს გავლენას ახდენს კლიენტის შესაძლებლობაზე მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.

ადვოკატ ა.პ.ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.